1918 წ.—№ 2 კვირა, ი ნვრის 1 4 ფასი 50 კაპ. წელიწადი მეექვსე გამოცემისა

ლოცვა

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა
შენი მხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ
ამ ტანჯულ ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი,
რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ აალებ
მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა,
ტანჯვად ეყოფა,
მიეცი ძალი დავრდომილსა
კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე
წარსულ დღეთ ყოფა
მამა-პაპური სული, გული
მოჰმადლე შვილსა.
..მოჰმადლე ქართველს
ქართვლის ნდობა და
სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი
ესე მამული!..

ილია

ნინო—ქართველთ განმან თლებელი

ქუდზე კაცი

შეიარაღდით ვაჟკაცნო,
ხმალი აიღეთ ხელშია!
სირცხვილი ვინც არ მიხედოს
თვის მამულს განსაცდელშია!

გ. ქუჩიშვილი

ლოცვა

დედაო ღვთისავ! შენი მხვედრია
ეს საქართველო დიდ ჭირ ნახული,
შეუნდევ ცოდვა, ნუა აღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!..

იქ კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსასე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი ერი
დღეს დაცემული და ცოცხალ მკვდარი!

მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას,
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენ საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,

რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!

აკაკი

5884
სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი Библиотека-Музей

ი ა ნ ვ რ ი ს 14

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ. ჩვენს ხელოვნებასაც ახალი ხანა უდგება.

საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან დაარსდა ცალკე სექცია ხელოვნებისა, ხელოვნებათა მთავარი საბჭო ვლ. გობეჩიას თავმჯდომარეობით.

წარსულ შავბნელ დროს ჩვენმა ხელოვნებამ, თუმცა უცხოთა ბატონობის გაურღვეველ მუხრუჭებში იწურთნებოდა დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ერის სულიერ-საზოგადოებრივ გათვითცნობიერებასა და აღორძინებას.

მაგრამ ეს დიდი დარგი დღემდე თითქო ცხოვრების გერად და ზედმეტ ბარგად იყო მიჩნეული.

დღეის ამის შემდეგ იგი სათანადო დონეზე უნდა დადგეს, განთავისუფლდეს უცხო გადამგვარებელ გავლენ საგან, მშობლიურ ძუძუს დაეწაფოს, მომქმედ მოღვაწე ხელოვანთა საქმიანობა ერთ გარკვეულ გზას გაჰყვეს, რომ ერთის ანაშენებს მეორე არ ანგრევდეს.

და უმთავრესად უნდა იყოს ყოველ გვარ პარტიობის გარეშე, ყოველგვარ ჯგუფობრიობაზე მაღლა მდგომი, თავისუფალი.

გზა მისი ფართოა, დიდ-მნიშვნელოვანი და ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი, ანუ ვისაც ხელოვნების ბატივისცემა უნდა ეცადოს, ამ დარგის დახვეწვას, ამაღლებასა ერის საკეთილდღეოდ.

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲜᲢᲘ

რამდენად ჩვენი აწინდელი ცხოვრებაა ქალთა ნამოღვაწეევის მხრით უფერული ანუ მცირედი, იმდენად ჩვენი წარსულია ბუმბერაზ ქალთა მოღვაწეობით ბრწყინვალე და დიადი.

ჩვენი ისტორიულ ქალთა სახელები თითქმის ყველას ენაზე აკერია: ნინო, შუშანიკ, თამარ, ქეთევან, უკანასკნელად, როგორც ვაჟკაცურად მებრძოლნი გლეხის ქალნი ისევე თამარ, მარო და სხ.

თავისუფალ საქართველოში ქალიც სრული თავისუფალი იყო და ამიტომაც თავის ნიჭის სიმძლავრეს ყოველ ასპარეზე იჩენდა,—

ქალი მქადაგებელი—ნინო, მეომარი—შუშანიკ, ქალი მეფე—თამარი, ქალი—მინისტრი—თამარის თანამოღვაწენი, ქალი წამებული—ქეთევან, ქალი ვაჟკაცურ თოფ-ხმლით შეჭურვილი - გლეხნი თამარ, მარო და სხ.

თვალი გადაავლეთ ჩვენს წარსულს და იქ მრავალ ულამაზესს სახეს შენიშნავთ.

თვით სპარსეთის მბრძანებელ მეფის მშობელ-აღმზდელი ქართველი ქალი, როდესაც საქართველოში ქართველ მეომარს ისტუმრებდა, ხმალს უკურთხებდა და ეტყოდა: სამშობლო საქართველოს სამსახური არ დაგავიწყდესო!

ასე იცის თავისუფლებით აღზდილმა სულმა.

ქართველი ქალი მეცხრამეტე საუკუნეში დაეცა და მას შემდეგ ფეხზე ვეღარ წამომდგარა!

მორად აქცია იგი, გააორჭოფა, რასაც მოჰყვა ჩვენი ოჯახის დაღუპვა და მით მამულიშვილურ- საზოგადოებრივ გრძნობათა მიყუჩება...

გარეშე ქართველი ქალის აღდგენისა წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის აღდგენა.

ქართველმა ქალმა უპირველეს ყოვლისა უნდა შეიგნოს თავისი შშობლიურ მამულიშვილური და ადამიანურ-მოქალაქეობრივი მოვალეობა.

გასულ საუკუნის ხახგრძლივ მონობასა და მით გამოწვეულ ჩვენი ხალხის გონებრივ სიბნელეს მოჰყვა თანამედროვე ომი, რამაც უფრო გააღვივა ველური გრძნობანი და დღეს საქართველოში თვით ქართველიც კი არ ინდობს ქართველს, მოყვასს, მოძმეს...

დაე, დღევანდელმა ქალის უდიდესმა დღეობამ—ნინოობამ კიდევ ერთხელ მოაგონოს ქართველ ქალს თავისი მაღა-

ლი დანიშნულება-მოვალეობანი ჩამორჩენ ლ, თითქმის წარმარო ერის წინაშე..

არავითარი პარტიულობა ქალთა მოღვაწეობას ურთიერთობისგან არ უნდა თიშავდეს. ქართველი ქალის უდიდესი პარტიაა მისი წამებული, დღეს ოდნავ ხუნდებ მოხსნილი სამშობლო საქართველო და მის ამაღლებას გათვითცნობიერებას, დაწინაურებას უნდა შესწიროს ყოველი ძალა თვისი.

გარეშე და შინაური მტერი კიდევ უფრო ემუქრება ჩვენს ქვეყანას და სამშობლო ეძახის, სამშობლო მოიხმობს ჩვენს ქალს სამოღვაწეოდ.

ქართველო ქალო! ნუ თუ შენ ბრწყინვალე დედობას მაინც არ იკითხავ: ვინ ხარ და რა უნდა იყო?

იოსებ იმედაშვილი

ეეეეს ქალებს

ჩვენზა ხარბაც დაჰკრა, დედო!
და ჰა, დროა, გავიღვიძოთ:
დღემდის მონა და უენო,
რომ ვიყავით დავივიწყოთ:

გესმით? მოძმე ჩვენ მიგვიხმობს,
მშრომელთ ჯგუფი ჩვენ გვეძახის;
დღემდის, ქალო, მონად მქნილო,
დღეს უფლება აღსდგა ქალის:

ჩავერიოთ მშრომელთ ჯგუფში,
ჩვენც ვიშრომოთ, ოფლი ვღვაროთ;
და მათ წმინდა დროშის ქვეშა
ყველამ თავი მოვიყაროთ:

და მაშ, დედო, გავიღვიძოთ
დღეს დრო-ჟამი მას გვაყალებს,
ვაშა, ვაშა, ჩვენს წინსელასა
ვაშა, ვაშა მშრომელ-ქალებს!..

ალმარა კოკუაძისა.

ძლიერი გზა

1

შორეულ კაპადოკიიდან მოგვევლინა ის ოქროლი მარგალიტის ხხივები ჩაეკვეხა ტანჯულ - წამებულ ივერიის მთათა მწვერვალებს და ოქროვან ზღაპრად აალმასდა.

და იყო ღამე...

ბნელი... უკუნი ღამე...

მწუხარების შავი ფარვანა დაჰქათქათებდა თავს სევდის სამყაროს...

არსით ისმოდა ხმა ცხოვრებისა. ხმა იმედის, მომავალისა...

არ ყოფნის საფლავს დაჰკვდომოდა ცივი სუნთქვა, ყოფნის დუმილი...

და არ იყო რწმენა ღიად მოძღვრის იესოს მცნებისადმი...

ცოდვილნი გაურბოდნენ მას.

დაჰქმნიდნენ ბოროტ საქმეებს...

სისხლის მორევი იდგა საქართველოს ბრწყინავ წალკოტში...

შავი ყორანი თავს დასჩხაოდა შვენების მხარეს.

სიკვდილის სულთათანას უმღერდა მარადი სობის მეფანდურე.

და არა სჩნდა ადთქმის ქვეყნის მოცისკროვნე ვარსკლავი...

მხარე შუქ - მოფლვარე კი ჯერ შორს იყო.

ნარ - ეკლით იყო მოფენილი ეს გზა საბედისწერო, გზა წამებისა...

2

და მოვიდა იგი.

მოვიდა ნინო წმიდა, ნინო განმანათლებელი ქართველი ერისა, „ქართველთა წმიდა მოციქულო სწორის ღირსს დედასა ჩვენისა, ქალწული ნინო, გამთვითმცნობიერებელი, ღირსთა მიმართა ჩვენთა, რომელთა მოისრნეს სინას და რაითას.

ის მოვიდა შორეულ ქვეყნიდან კაპადოკიიდან.

და იქადაგა კაცთ სიყვარული და სათნოება ტანჯულ - წამებულ ერს მოასმინა ძლიერის სიტყვა, სიტყვა მომავლისა.

იესოს მოძღვრება, წმინდა მცნება ჩაღნერგა, ახწავლა ძმური სიყვარული, პატი-

ვისცემ მოყვასისადმი და მოუწოდა სხვ ვოსან მხრისკენ, კეთილ მომავლისაკენ..

ნარ ეკლოვანი იყო გზა მისი.

ჭაობებით და ჭვემძრომებით სავსე.

ხელთ ეპყრო წმიდა ჯვარი ვაზისა, ემბლემა ნუგეშისა და დიად რწმენისა

მოვლო მთა-ყორები კეკლუც საქართველოისა, მთის კორტოხებზე აღმართა ჯვრები, სადაც თავს უყრიდა მორწმუნეთ და უსახავდა ძლევის აზრებს, ასმენდა სიტყვას, სიტყვას შვების სხივით დამწვარს...

და ერიც ისმენდა ქადაგებას, მომავლის ღრმა რწმენით კ ჟდებოდა...

და მზე კრთებოდა ..

მზე ელვარებდ...

3

წმ. ნინოს მიერ ნაანდერძევმა სიტყვამ ძლევისამ ღრმა კვალი დაჩინა ქართველი ერის ცხოვრებაში.

ჯვარი მძიმე, ჯვარი წამებისა დიდხანსა ზიდა კეკლუცმა ივერიამ...

და მრავალ ტანჯული ქართველი ერი აღსდგა...

კავკასიონის ქედზე მიჯაჭულმა ამირანმა ბორკილები დაამსხვრია და მჭეჭარ - იმედოვან ხმას ასმენს მთელ მსოფლიოს...

ს. ტაიფუნი

ვით ვოგილოცოთ?

ვით მოგილოცოთ ახალი წელი,
ან განახლება დრო და ჟამისა,—
ზოგან სიკვდილი, გლოვა, ნაღველი,
ზოგან სიცოცხლე, ჭმუნვა შხამისა.
თუმც დამყარდება ქვეყნად სიმშვიდე,
და დაედება ტანჯვას საზღვარი,
და თავისუფლად ამოისუნთქავს
ხალხი მაშვრალი, სულ-განამწარი,
თუ ადიგვება სიხარულის ღვრა, რბევა,
ოხვრა და კვნესა აურაცხელი, —
მე მაშინ ვეტყვი ჩემს თანამოძმეს
მომილოცნია ახალი წელი!...

დარია ახვლედიანი



შალვა დადიანი

ხელოვნებათა სექციის თავმჯდომარის ამხანაგად არჩ.

მისალმება*)

რა უნდა გითხრათ თქვენ დღეს ქართველმა მსახიობმა საქართველოს ბირველ ეროვნულ ყრილობაზე თქვენ მოისმინეთ და თვით წარმოსთქვით ბოლიტიკურათ განბრძნობილი და სახემწიფოებრივად შემზიდრებული სიტყვები.

თქვენ სთქვით ის დიდი სიტყვა, რომელიც შეიძლება იგრძნობოდა, მაგრამ უთქმელი იყო ჯერ. გაერთიანებული და თავისუფალი საქართველო და ვინ იქნება უფრო გრძნობა-ამეტყველებული უფრო ადფრთოვანებული ამ ჟამად თუ არ ხელოვანი ქართველი ერისა საზოგადოთ და კერძოთ ქართველი მსახიობი,

ხელოვანი ხომ თვის გძნობიერებით ნაზი ლერწამია, ანუ ანკარა წყაროს ზედაბირი, რომელსაც ერთი სიო ოდნავი კასრიალებს არხევს და ზვირთს უჩქროლებს.

და აი დღეს აქამომდე თქვენს ხელოვნებაში, საქართველოს ფიდნო, თქვენი ხელოვნება შეფოთვდა და ბოროგვდა თავისებურად ეს ცუდი, აგზნიანი ქარისაგან რომელიც მთელი ქართველობის ცხოვრებას ოყვ დასტრიალებდა,

თქვენი ხელოვნება სახოგადოთ და კერძოთ ლვოის მოსვ �ის ოჯახში სტის წინ ანთებული წმინდა ოთ მოპარმპალე თავლის სანთელი, იწვოდა იმ უშრეტი ცეცხლით, რომ სამშობლო მოტყუებულია,

*) საქარ[illegible]ელოს ეროვნულ ყრილობის დასრულებისას ქართველ[illegible]სახიობთა დასმ, ყრილობის მონაწილენი წარმოდ[illegible] დაჰპატიუეს და შალვა დადიანის ბაგით იყ[illegible]ესალმა. რედ.

სამშობლო გათავისებული სამშობლო დამონებული
და გაიცხოდა ქართული თეატრი სანუკვეშო
ფრაზას: მაგრამ ადსდგეს ქართველი ერი ამ შუა-
დამის ჩვენს ძახილზეო.
გამოგვქონდა დროშა... და თქვენს თვალებზე ვამ-
ჩნევდით სისარულის ცრემლებს.
მაგრამ აჭა.. დდეს.. მართლა რომ სიბე-
ნიერო დდეს.,. ჩვენი თეატრალური, ბუტაფორიულ
დროშის მაგივრად თვით თქვენ. ქართველი ერის
დირსეულნო წარმომადგენელნო, გამოიტანეთ სავა-
რო, დაურიდებლად წარბ-შეუხრელთ სქართველოს
მართალი დროშა.
და გული ტოკავს სისარულისაგან ქართველ
მსახიობის, კიდევ უფრო მისთვის, რომ მას სხვა
ბევრთ შორის თამაშად შეუძლიან გითხრასთ, რომ
თქვენ ჩვენი შექმნილი ხარ.
მაგრამ დეე ამიერიდან თქვენ შეგვიქმენით ჩვენ.
თქვენის ინტენსიურ არსებობით ულამაზეს
და სამართლიან სახეებით თქვენის ცხოვრებისა
გაგვისწარით ჩვენ ხელოვნებს და
გაგვასხიერებინეთ ეგ დამაზი ცხოვრება.
შორს ჩვენგან ამიერიდან ურვა, წუხილი,
სევდა დაკარგულ, დაქსაქსულ სამშობლოზე. ნუდა
იქნება ეს საგნათ ჩვენის ხელოვნებისა.
არამედ თავისუფალს და ლაღს საქართველოს
ექმნეს მომავალში თვით ხელოვნებაც გახეფილის
წმინდა, ანკარა რომელიც ამიერიდგან გამოვალს
შოთა რუსთაველის მზიურობისაგან.
დეე ეს იყოს მომავალში ჩვენში დასაბამი
ხელოვნებისა.
ჩვენ აქამდე მოვიტანეთ ჩვენის ტანჯვა წვალ-
ებით ერის ცრემლში განაბანი ხელოვნება, მისი
უსიდუმლესი ზრახვანი
და ეხლა რა კი ეოველივე უკვე საზეიმოა,
ცხადი და საკარო,
ჩვენ თავს ვიხრით მშვენიერების დერთის წინაშე
გზა თავისუფალ ხელოვნებას!
გზა თავისუფალ საქართველოს!
იგი ადსდგა და თან მოაქვს, როგორც ჰოლი-
ტიკური ადორძინება საქართველოსი, ეკრეეე მისი
ხელოვნებისაც.
მაშ გაგიმარჯოთ თქვენ გადამდგშელო ბირველი
ნაკვისა და გაუმარჯოს
მომავალ თავ სუფალ საქართველოს სახელმწიფოს
და მის ერს.

შალვა დადიანი

საუბარი მსახიობთან

ამ დღეებში ჩვენი თეატრის აწინდელი
მდგომარეობისა და მისის ბომავლის შესახებ
ვსაუბრობდი ჩვენი სცენის დამსახ-
ურებულ, გონიერ და ნიჭიერ მსახიობ და სა-
ხალხო ტეატრის რეჟისორ კოტე მათირიშვი-
ლთან.

ჩვენში იარსებებს და იხეირებს არა მხო-
ლოთ სახალხო თეატრი, არამედ მაღალი,
მოწინავე საზოგადოების ქართული თეატრიც,
მომიგო კ. მათირიშვილმა: საჭიროა მხოლოდ
მუშაობა, მუშაობა და კიდევ მუშაობა უპირ,
ველეს ყოველისა, უნდა შესდგეს ამხანაგობა-
რომლის წევრებადაც იქნებიან მსახიობნი,
ავტორ-მთარგმნელნი, საქმის მწარმოებელნი,
მხატვარნი და ს. ერთი სიტყვით ყველა,
ვისაც სცენასთან რაიმე კავშირი აქვს. ყველა
თვის მოვალეობა დანიშნულებას ასრულებს
საერთო საქმის საკეთილდღეოთ: როგორც
მსახიობნი, ისევე მხატვარნი, ავტორნი, პიესა-
თა მთარგმელნი, მიღებული პიესების გამხილ-
ველნი ბეჯითად და შეუჩერებლივ უნდა მუშ-
აობდენ ამხანაგობაში მიიღებიან უმთავრესად
ახალნი ძალნი დამსახურებულთ მსახიობ რომ
როლებს მივცემთ ამავე დროს მისი მაგიერიც
უნდა ამზადოთ, რომ ვინიცობაა უცებ მსახი-
ობმა უარი სოქვა ავადმყოფობის ან სხვა
მიზეზით, მაგიერმა შესცვალოს იგი. ამხანაგ-
ობა უნდა იყოს სასტიკი წესი დისციპლინა,
არვის პიროვნება არ ბატონობდეს, გარდა
საქმისა. უნდა შემუშავდეს ორგვარი რეპერ-
ტუარი—დრამა და კომედია: ერთხელ რო
კომედიაწავა, მეორედ დრამა.

სათეატრო დარბაზი უნდა იყოს დადა,
უბრალოს, ხოლო სცენა თანამედროვე სასცე-
ნო ტექნიკის თანახმად ყოველმხრივ მოწყო-
ბილი

ნამდვილი თეატრი კლუბთან ვერ იხეირებს.
საგანგებო დარბაზია საჭირო, ნამდვილი
ხელოვნების ტაძარი.

პირველ ხანად შეიძლება ისე დიდი შე-
მოსავალი არ ვქონდეს, მაგრამ ბოლოს და ბო-
ლოს საქმე გაიზრდება.

საქმის სიყვარული, ბეჯითობა, მუყაით-
ობა და, დამეწმუნეთ, ჩვენი თეატრი უფრო
მაღლა აიწევს, და—მა. ლა საყარელმა მსახი-
ობმა კ. მათირიშვილმა.

იოსებ არმასოელი

უკვდავი სული.

დედაკაცის სულში არის სიმები, რომელნიც
იღვიძებენ მამაკაცის გავლენით.

ტურგენევი.

როს ზაფხული მიიწურა, შემოდგომა ფეხს იდგავდა,
მზე კი ისევ მოუსვენრად ცირუზ ტახტზე დაგოგავდა,
ფერგადაკრულ მთის კალთაზე ქალი იწვა ფერ-მიმკრთალი
მზის სხივებზე გულს ითბობდა, მზის ალერსით დამშვრალი.
ჰაეროვნათ შემოსილი, ვით პატარა თეთრი ია
როცა სიოს საალერსოდ ოდნავ ტუჩი გაუშლია!
ქალი იყო ისე სუსტი, ისე ნაზი, ისე კარგი,
როგორც ზღვის პირს გარიყული, ზღვის გულიდან მოწყვეტილი მარგალიტი.
სევდის ბაღში გამოზრდილი, მარტოობით დაჩაგრული,
ბევრი მწვავე დარდი ჰქონდა ობოლ გულში დამარხული,
მხოლოდ მზე კი ჰმეგობრობდა, მზეზე იყო მინდობილი,
ხარბად ჰრეფდა სხივთა ალერსს, მზის სხივებით შემკობილი,
და როს ერთხელ მარტო იყო, მელანქოლიით —მონარნარე
როს გადახრილს მზის სხივებით ფერს იცვლიდა არე-მარე
ქალს ჭაბუკი მიეპარა, ღიმილით კოცნა მიაყარა
სხივ მოსილმა ელმჩქეფარემ, მას მიმართა: არა კმარა,
ჩემო კარგო, მარტოოდენ განშორებით სიარული?
მზის გიჟი ხარ! მზე შენ გყვარობს, მზის ალერსს ხარ დანატრული?!
მეც მომხედე; მეც ვკოცნონ, მეც ვარ მეფე-შემძლებელი?!
ჩემში ყველა მეტყველდება, თვით უგულო კლდე თუ ველი!
რას არ ვიზამ ჩემის ცეცხლით?! ავადუღებ თვითონ ლურჯ ზღვას,
ფერფლად ვაქცევ ყინულის გულს, გიშრით, ქარვათ უბრალო ქვას
შემიყვარე და გაიგებ, თუ რა არის იგი, კარგი.
დაიბრუნე სიხალისე, სული სევდით დანაკარგი.
შემიყვარე! და ვარდისფრად გადიშლება ეს მიდამო!
ნუ დამტანჯავ, ნუ ინებებ ცრემლით გრძნობა დავინამო;
მე მომხედე! მე ხომ ის ვარ ვისაც ჩუმად მოელოდი,
მე ისა ვარ ვისაც უნდა დაემსხვრია გულის ლოდი.
მენდე კარგო, მე წრფელი ვარ და ტანჯვაც მიქვს წრფელ-ანკარა,
არ გეგონოს რო მიყვარდეს სიტყვის ხარჯვა წარა-მარა.
შემიყვარე და გაიგებ უკვდავების წყაროს წყურვილს
ამ მსოფლიოს საიდუმლოს, და სამშობლოს სევდით მწუხარს
ჩემი კოცნა გეჭედია სილამაზის და სიცოცხლის,
უკვდავია ვინც მე მიყვარს, უკვდავია ვინც მე მკოცნის!“

ვაჟმა ქალი მიიზიდა, ვაჟმა ქალი მიიკონა,
ნაზი კოცნით და ალერსით მიითვისა, დაიმონა......
და განშორდნენ... მაგრამ ვაჟი ქალს თვალიდან არ შორდება
მისი თლილი თითო სიტყვა მუსიკალობს, არა ცხრება.
და წარმტაცი გრძნობა დიდი ალმასებით მოჭედილი,
იზრდებოდა დაღლილ გულში, ვით საღამოს ნორჩი ჩრდილი,

განვლო ჟამმა! უკვდავების, სავსე იყო მთლად ტაძარი
ხელოვნების სამსხვერპლოსთან იდგა ქურუმთ დიდი ჯარი,
მუჯამარით აკმევებდნენ სურნელებას ნაზ საამურს,
ჩანგის ხმაზე აკვნესებდნენ დაობლებულ ტბის სალამურს,
ფსალმუნს ჰქმნიდნენ სილამაზის, ადიდებდნენ თავის ღმერთებს,
ღმერთებს წმინდა ხელოვნების, ცის და მიწის შემაერთებს.
ქალი ჩუმად შემოვიდა, მოიკეტა მორცხვად კარი
და სამსხვერპლოს შეუკეთა სიყვარულის ნედლი აწკარი...

ს. ..ჩიჯან

ქუჩის ქალს

სამრალო!..

ვინ იცის, ერთ დროში როგორ გწყუროდა სიყვარული!..

ვინ იცის, როგორ შეჰხაროდი პირველ სიყვარულს!..

დღეს შენს თვალებში მწუხარება და ზიზღია გამოხატული...

შენ კანონიერად გეზიზღება ხალხი, ცხოვრება, რადგან იმ ხალხმა მოგიწამლა მომავალი, იმ ცხოვრებამ დაგტანჯა და გტანჯავს დღესაც.

შენ იცინი, მაგრამ ეგ სიცილი ცრემლზედ მწარეა...

შენ იღიმები, მაგრამ ეგ ღიმილი მწუხარებაზე უარესია...

მე მესმის, შენი ტანჯვა სულისკვეთება...

ყოველთვის, როდესაც კი გვერდზე გამოგივლი, თავსა ვდუნავ, მრცხვენიან შენი..

მე შენს წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რადგანაც შენ ჩემისთანა მამაკაცმა გკრა ხელი და ჩაგაგდო ამ წუმპეში...

შენი მომტყუებელი დღეს რომ დაგინახავს ხოლმე, დაგცინის, გაფურთხებს...

როდის, როდის დადგება ის დრო, როდესაც ის შენს წინაშე, სირცხვილისან გაწითლებული, წამოდგება ბოდიშის მოსახდელად?.

არასოდეს?!.

არა, მოვა დრო... მოვა!..

ად. ნეგრელი

უდაბნოში

ოლღა კობილიანსკაიასი
(უკრაინულიდან)

მე უდაბნო მირჩევნია.

შორეულ, უსაზღვრო უდაბნოში, სადაც მზე მეტად ცხარეა, სადაც სიწყნარეა, სადაც ვერ ჰნახავთ არსებას, იქ მინდა ტირილი.

იქ ვერავის თვალებს ვერ ვიხილავ, ვერც დედის თვალებსა, მგრძნობიარე გულისას,,, ვერც მამისას, რომელიც შვილის ბედნიერებისათვის მზადაა უკანასკნელი სისხლის წვეთი დაჰღვაროს... ვერც ტლანქ, ცნობისმოყვარე, დღიურ ჭირვარამში ჩაფლულ ბრბოისას-ვერავის ვიხილავ.

სახეს ჩავმარხავ ცხარე მიწაში, და გავაგრილებ ჩემი ცრემლებით-ვინემ არ გამიქარვებენ ჩემს უსაზღვრო გულის-წუხილსა. მზე კი შესვამს და შესვამს ჩემსა ცრემლებსა... მწყურვალე მზე მწუხარებისა...

მარ. ხარხელი.

ავხაზავას

რაზმი

რად მოგილოცოთ?!

თუ გაშრეს სისხლით მორწყული ველი,
ქარქაშს ჩაეგოს სამტერო ხმლები,
მაშინ მოგიძღვნით გულითად სალამს —
მომილოცნია ახალი წელი!

ჩემი სამშობლო შავს ღრუბლებშია
თითქოს მოელის კიდევ სასჯელი,
მე მელანდება ჯვარი წამების, —
რად მოგილოცოთ ახალი წელი?!

ვარინკა ერისთავი

კარგს გულ

ხარობს გული, რომ სამშობლოს
ალარ ბურავს ბნელ-წყვდიადი,
ჩემს ქვეყანას გულში იკრავს
მზე ბრწყინვალე, მზე დიადი;

თვალი ცრემლით დავასველო,
რადგან ვხედავ, ფეხზე სდგება,
ჩემი ტურფა საქართველო;...

დ. ჭანჭათელი



კირიონ კათალიკოსი და მიტროპოლიტნი: ლეონიდე თბილელი, ანტონ ქუთათელი და ამბროსი ჭყონდიდელი

ქ ო რ წ ი ლ ი

გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 1

3

ია და ნათელა

ია (ხმა შეცვლით განზე)
ქალო, შენთან მოვდივარ
მწუხარების ელჩადა:
უარს გითვლის ალმასხან,
ნუ მგულობო შენადა,
დღემდეც უქმათ მელოდდი,
სახლში იჯექ ბეგრადა,
აწ სხვა სატრფო სძებნეო,
ჯვარის დასაწერადა! .

ნათელა (შეძრწუნებული, ელდა-ნაკრავი)
ვაჰმე, ოდით ბედკრულმა,
როდის უნდა ვიხარო!
ნუ თუ გრძნობამ მიმტყუნა,
ჩემი სულთქმა შენ ხარო?!
ნაღვლის ბუდეთ ვიქეცი,
დამხრა ფიქრის ქიამა..
როგორ უნდა მიცოცლოს
უცხოელმა სიამა... (მოთქმით)
ვაჰმე, ჩემო ალმასხან,
შენთვის ვკვნესდი დღე-ღამე,
მზეო ჩემი სიცოცხლის,
ასე რისთვის მაწამე?! (წამოდის)
დასჭკნა ჩემი ყვავილი,
აღარც მელის ლხენა მე,—
უშენობით,. მიჯნურო,
ნუმც მიმზერდეს ზენა მე!..

ნათელა პატარა ბებუთს ამოიძრობს და უნდა დაიკრას. ია ხელს სტაცებს და შეაჩერებს.

ია (მიიჭრება-მოეხვევა)
ნუ თუ ვეღარ მიცანი,
მარად შენზე მლოცველი?!

ნათელა (დაკვირვების შემდეგ უცებ)
ღმერთო! შენ ხარ ალმასხან
(გადაეხვევიან) ასე სიდან მოხველი?!
ნუ თუ შენ ხარ სიცოცხლევ,
სიხარულო გულისა,
აგრე როგორ იცვალე
სახე შენი სულისა?!
ან და როგორ შემოხვედ
დახშულ კარ-მიდამოზე?—
გენერალი მდარაჯობს
ყოველ ფეხის დადგმაზე...

ია
მაგისთანა ცხრა-თვალსა,
მე ავუხვევ გზა-კვალსა,

ნათელა
ნუ თუ კიდევ გახსოვარ,
და ისევე გულს გყევარ...
მითხრეს სკვითელს ეტრფისო,
არ სცალიან შენთვისო.

ია
უკულმართმა ბედის წერამ
წარა-მარა მე მატარა,
ზოგჯერ მიზანს ამაცდინა,
ღადი მირნას დამადარა,
ზოგჯერ უცხოს დამამოყვრა,
მოძმეს ვცნობდი ჩემად არა.
მაგრამ შენსა ტრფიალებას,
მუდამ გულში ვატარებდი,
უშენობით ჩემსა ყოფნას
ჯოჯოხეთსა ვადარებდი.

ნათელა
მაშ რისთვის დამივიწყე,
ტრფიალება სხვისი იწყე?

ია
დრო და ჟამი ახლოულობდა
არვის ეცნო გულს ვინც მფლობდა.
განა გული დაგივიწყებს,
ვისმეს შენ თავს ანაცვალებს!..
ვიდრე მზე და მთვარე ბრუნავს,
ჩემი რწმენაც შენთვის ზრუნავს...
შენგან ესდენ დაშორებულს,
შენზე ფიქრით დაძმარებულს,
ბევრჯერ ცრემლი დამდენია,
მომდებია გულს გენია,
მიტც სულით არ დავცემულვარ,
ტანჯვით უფრო ზე ამდგარვარ,
რომ ხვალ მაინც მომეღხინა,
და ამ ფიქრით ვქროდი წინა!..

ნათელა
სად იყავი ესდენ ხანი,
რომ ვერ ვცანი შენი გზანი?

ია
მოვიარე მთლად სამყარო,
მასთან ჩვენი არე-მარე;
ყველა ხალხი შევისწავლე,
ვცან მათ ლხენა და სიმწარე:
იმერეთი, ამერეთი,
ქართლ-კახეთი და გურია,
სამეგრელო, აფხაზეთი,
ვისი ძმობაც ჩვენ გვწყურია.
რაჭა-ლეჩხუმ და აჭარა,
ჩვენი სისხლი კვლავ ძმურია,
სომხითი და მთიულთ თემნი,
თუშ-ფშაველი, ხევსურია.
ერთსა აზრსა ვაზიარე,
რომ ერთისა გზით ვიდოდეთ,
ურთიერთის ჭირს და ლხინსა
თანასწორად გავიყოფდეთ...

ნათელა
შენ მაგ ფიქრებს გაღაჰყევი,
მე სიცოცხლე მიმწარდება,
ბრალიანი და უბრალო,
ყველა ერთად მიმძლავრდება.
ნუ თუ ჩემი ნდომა, რწმენა
ისე უნდა დაინაცროს,
სული გაჰქრეს და გულში
ტრფობის ვარდმა ვერ იხაროს?!

ია
შენთამ სთქვა: „რაა სიცოც[illegible]
რასაცა ახლავს ბნელია?
ჩვენი ცხოვრება ჯერ [illegible]
სწორე ხაზ გასავლელია
მამული ფეხქვეშ გვეცლება,
არა გვაქვს ერთი პირია,—
უქონელ ხალხის ცხოვრება
მუდმივად გასაჭირია.
დრო მინდა, ჩვენი ცხოვრების
რომ გავდო მკვიდრი ხიდია;
ერთ ღმერთს ვალოცო მოძმეთა
მოზარდობა და დიდია!
სული მიილტვის მოგნიჭოს
სიცოცხლე არა ფლიდია...

ნაოჟდა შენს ლოდინში დნება გული,
განაწამებ-დადაგული!

ია იმედი და მოთმინება
გვირგვინია მომავლისა,
ვინც მოითმენ—სმოიგებსო,
სიბრძნე არის ძველი ზნისა,
დაე, ტანჯვის ემბაზში
სული იწრთობას, ეწამოს,
რო მით მომავალისა
დღე ბრწყინვალე გვანახოს!..
უშენოდა რას მარგებს
ქვეყნის ზურმუხტ ლალები,
ანუ ზეცის მშვენება
მზე მთვარე- ვარსკლავები,
თუ კი გამირისხდება
ეგ ღვთიური თვალები:
შენ ჩემში ხარ, მე შენში
ურთიერთით მთვრალები!..

ნაოჟდა შენი ფეხი ალთქმანი
მექნება გზის ფონადა,
ოღონდ გვაღრი, გენერლის
არ დამტოვო მონადა.

ია ცოტაც მოითმინევი
და იყავი ფხიზლადა,
რომ მოყვრულად მოსულმა
არ დავგჩხვლიტოს რბილადა..
დადგება დრო ჩვენთვისაც
აბიბინდნენ იანი,
ჯანყ-ბურუსის სანაცვლოდ
დღე ვიხილოთ მზიანი!

(გაშორდება რუს გენერალი, ნაოჟდა
სულ შეგეფარება)

რუს გენერალი (ია) ვინ ხარ აქ ვის დაგძებ,
თვალებს რაზე აცეცებ?!

ია (ფანჯარზე დაყმდერებს)
ერთი ვინმე ყარიბი,
მგფანლურე საწყალი,
ავ-კაცო ვერაგობითა
მიცრემლდება მე თვალი,
ბალლამ ნარევ ხალხისთვის
სიმღერა მაქვს, წამალი...

რუს-ჯენერალი (წყრომით)
გასწი, აქ ნუ წანწალებ,
თორემ თავსა განანებ!.. (კარდის)

ია (წინ გადმოვა)
აკი წინად გითხარი,
ეს ჯალათი ვინც არი,
ბიმის მეგობარია,
გული მისგან მკვდარია,
ჩემს სახლში ვარ ტყვედ ქცეული,
გამქრალი მაქვს მე ძილი,
ვინძლო დროით მოვნახო,
რომ დღე მწარე არ ვნახო.

ია იავ ჩემი სულისა,
ვარდო წყლული გულისა,
ბედი მოგითმენია,
სევდის დობე გფენია,
ცოტაც მოითმინევი,
ვნახოთ უკეთ დღენია...
აწ მშიდობით, ნახვამდე,
ბედნიერ დღეს შეყრამდე... (შიდის)
ვარდის ტკბობას მუდამ ცქვრას,
გავქრებოდეს, მირჩევნია,
რა თავს ვიხლი სიცოცხლესა
თუ კი ვედარ მილხენია! (კარდის)

ნაოჟდა მარტო
მრავალ წელი,
მწარედ ბნელი,
შავ ფიქრებია სამარეა,
ეკლი, ეკლი,
ცრემლთა მლვრელი
ჩემი ყოფნა მწარ-მდარეა!
ვაჰ თუ გული,
დანადგრული,
ძვალებურად არ ამდგრდეს
ვაჰ, თუ რწმენა
სულის ლხენა
ჩაიფერფლოს, დამინაცრდეს!
ვაჰ თუ სრული
გაზაფხული
ვარდებით არ აიფურჩქნოს,
ვაჰ, თუ ცრული
მხნე ბულბული
ნადველ-სევდით გაიგულოს!
მაგრამ არა,
ცრემლი კმარა,—
მოჰფრენს ჩემი შეყვარდენი,
რომ დამიხსნას,
ბედი გახსნას
და მიჩვენოს აწ სხვა დღენი!

შეეფალის ბადში (შემდეგ იქნება)

მეორედ მოსვლა

გაგრძელება იხ. „თ. და ც." №1

ალექ. (ბალშევიკს უყვირის) დაიკარგე შე ციგანო, შენა. რავა ალაგას დაგხევია შარვალი და აპალონი გიჩანს. შენ რა კაცი ხარ რა კაცი? ფუ თქვე ცოციობას! ხალხნი არ მეგონა ეგ გასაწყვეტნი? სულ ააქოთა აქაურობა.

გაბო დაანებე თავი, წავიდეს. ცოტა გიჟია ამ ქვეყნად, რომ ეგეც მოემატა? ნათლია ლუარსაბი სად არის?

ალექ აქ იქნება, ბატონო, მაგრამ ვაი მაგის დღეს. სული შეუხუთეს, მაგ ციგნებმა, ვინ არ მოეხეთქება (შესძახებს) ბატონო ლუარსაბ! გაბო გეახლათ სოფლიდან, გამობრძანდით!

ლუარ (გამოყოფს თავს კარებიდან) აღარ არის ის ფედებელი? წავიდა? ვახ! მადლობა ღმერთს! ეგ სოციალისტი კი არა, ალა მაჰმად ხანის ელჩია დიდება შენთვის ღმერთო, ამას რას მოვესწარით! გაბოჯან, შენ აქა ხარ? გამარჯობა შენი ჭირიმე! (გადაეხვევა) ძლივს კაცი არ ვნახე! ეხ მახლას! რა დროებას მოვესწარით! დაჯექი თუ ძმა ხარ, მიამბე რა ამბებია ჩვენში? (სხდებიან) იქაც აირია აგრე მონასტერი?

გაბო არა, ჩემო ნათლია, სოფელში შედარებით შვიდობიანობაა. ბატონები ჩვენ ვართ ეხლა იქ. აქ გლეხთა სიეზლიათ და დელეგატათ ამომირჩიეს. მომაკრეს წითელი ბანტი და კრებაზე მიმიწვიეს. ეგ რუსული კი ვერ გავიგე, რასა ლაპარაკობდნენ: ერთი ჩხუბი დავიდარაბა იყო! ზოგმა რა გვირჩია და ზოგმა კი რა! ვერაფერი ვერ გავიგე მაგათი, რა უნდათ, რა აჩხუბებთ.. მაგრამ ამაებს თავი დავანებოთ და ერთი მიბრძანეთ, როგორ ბრძანდებით ან როგორ უძლებთ ამ არეულობას?

ლუარ ნულა მკითხავ, ნულა ჩემო გაბო, თავში ტვინი აღარ მიშაობს. გონება მეკარგება! ჩამოვედი ქალაქში. ვსთქვი; ჩემ საქმეს გავაკეთეფ, შვილებს წამოვიყვან სოფელში ვიყიდი ყველაფერს, რაც საჭიროა სოფლისათვის. ვიფიქრე რაკი ძველი ჟამი არ გადავარდა, იქნებ ახალმა გვიშველოს რამე მეთქი მაგრამ შენმა მტერმა ნახოს ის რაც მე ვნახე და გადამხდა. კაცო, როგორღაც ყველა აიბნა ჭკუაზე, აღარავინ არის! შვილები გამეფანტენ ცოლი ჭკუაზედ შემეშალა; მეეზოვე რვა მანეთს ძვირობდა, ეხლა რვა თუმანით. მდგმური ფულს არ მაძლევს, ვაენი ვარო და ამ სახლს კი ათასი გადასახადი დაადეს, პური არ იშოვება ღვინო და შაქარი ხომ სულ არ იშოვება, ფულის მამატებას თხოულობენ. კაცო ეგ როგორ შეიძლება? ამ ფულს და ჯამაგირებს რომ უმატებენ, ხომ დასცა რუსის ფულის მაზანდა.

გაბო. ეგ მიტომ ხდება, ჩემო ნათლია რომ ჩვენ მეთაურნი ცოტა გამოუცდელნი არიან," სიტყვით ლამაზნი და საქმეზე კი რომ მიდგება, მაშინ არის ხლაფორთი. ყველაფერში ეგენი არიან გასამტყუნარნი. ძველმა და მახინჯმა მთავრობამ ყველაფერი ძველი და მახინჯი დაგვიტოვა. ყველაფრის მოწესრიგება ხელად ვერ მოხერხდება. ყოველ ნათეს კარგი მოსავალიც მოუვა, მხოლოდ მოცდაა საჭირო

ლუარ. რა ვიცი ძმაო, მე კი სული ამომაძრეს. ეგ რაღაც საქალაქო არჩევნებიაო. მომკლეს რაღა პირდაპირ. ვინ არ მოდის ჩემთან. ყველანი ხან მემუქრებიან, ხან ბევრ რამესაც მპირდებიან. წელან ერთმა კინაღამ თავი არ გამიხეთქა, ნიკალაის სურათი რაზე გიკიდიათ. ეშმაკი მაგას! შენ კერძო მესაკუთრე ხარო და უნდა გაპროლეტარდეო. ესე იგი მაწანწალა გახდი. კაცს მიშრომია, რამდენი ოფლი დამიღვრია, სისხლი გამიშვრია, პატარა სახლი ავაშენე, ორიოდე გროშიც მოვაგროვე, შვილები დავზარდე, ისინიც საზოგადოებას შეეწიხლნენ და მე არ მინდა სიბერის დროს სხვისი მაყურებელი ვიყო. არა ყველაფერი უნდა წაგერთვის და შენ დარჩით აგრე პირში ჩალა გამოვლებულიო, (ცრემლები მოუგა თვალებში) კაცო! ამ ხალხს ღმერთიც კი დაივიწყდათ, პირჯვარი მაინც გადიწერონ დალოცვილებმა, რა სწადიათ! რა სწადიათ თვითონვე არ ესით, ქვეყანას კი ღუპავენ,

გაბო ეხ, დამშვიდდი, ჩემო ბატონო! ვინ უარყონს უარყოფს ყველა ამას? ბევრი უწესოება ხდება, ძალიან ბევრი, მაგრამ დროებითია. (შემოდის ფედერალისტკა)

ფედერ გაუმარჯოს ამხანიგებს!

ლუარ ვახ! კიდევ მოდიან? ქალო შენ რაღა გინდა ჩემგან?

ფედერ (განაგრძობს) გაუმარჯოს მიწის სოციალიზაციას! ძირს ბურჟაზია! გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს ავტონომიას, ვინაიდგან ავტონომია შრომელ ხალხისათვის უფრო საჭიროა, გადაგვარებული ინტელიგენცია მშვენივრათ გრძნობდა თავის ბიუროკრატიობის დროს ჩვენ მშრომელი ხალხი კი დაბეჩავებული იყო. ჩვენ ვართ სოციალისტ-ფედერალისტები.

ლუარ ჯანდაბას ჩამწერე რამდენიც გნებავდეთ, ხელად სოციალიზმი არ ავაშენო.

ფედერ კარძო საკუთრებაა შუღლის და მტრობის მეტს ერთმანეთში არაფერს სთესავს ეს უწმიდესი იდეა, რომელსაც ვქადაგებთ და რომლისთვისაც შევეწირებით: ჩვენი იდეა უეჭველათ გაიმარჯვებს, რადგან მთელი რუსეთის ესერების ქვეყანაა, და ჩვენ ვართ მათი პირმშო შვილნი! ხმა მიეცით ფედერალისტებს! (მიდის) სვ. წერეთელი

[დასასრული შემდეგ ნომერში]

ანდრონიკა
სომეხთა ეროვნული გმირი და ჯარის სარდალი

მისაბაძი მაგალითი

სომეხთა სიამაყემ, ეროვნულმა გმირმა ანდრონიკამ თავის ერს მოწოდებით მიმართა — შეადგინეთ ეროვნული ჯარები და ფულით დაგეხმარეთ, რომ სამშობლოს განთავისუფლება დავაკვირგვინოთო. ამაზე სომეხთა სახელგანთქმულმა მგოსანმა ოვანეს თუმანიანმა ქვემორე მოყვანილი წერილით უპასუხა

ძვირფასო ანდრონიკ!

სასტიკ მომენტის ჟამს ყველა ვალდებულია უოველივე, რაც კი საყვარელი რამ გააჩნია შესწიროს მსხვერპლად ერის წმინდა ტაძარს, რომ ამით საბოლოო მშვიდობა და კეთილდღეობა დამყარდეს. მე ოთხი ვაჟი მყავს, რომლებიც ეროვნულ საბჭოს და თქვენ ბრძანდით კეკეკელებრებიან და მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ საყვარელ სომხეთის ბედნიერებისათვის! ჩემი ოთხი ქალი კი ზურგში, სადაც და რომელ დაწესებულებაშიც უბრძანებთ დაუღალავად იმუშავებენ. ამაზე ძვირფასი ამ ქვეყანათ მე არა მომეძებნება რა. ყველა ვალდებულია ამ დროს დაეხმაროს თავის სამშობლოს რითაც კი შეუძლია.

და ცხოვრების ქარტეხილში გამობრძმედილი, ტანჯვის ქურაზე გაწვალებული, სამშობლოსადმი დრმა სიყვარულით ადსავსე, მისი მოტრფიალე და ჩანგის მეღერავი, გიკვლნი მაგ გმირულ-მადლიან შუბლს. მ ეიხმე, ეველგან შენთან გავჩნდები.

... და სომეხი ამ მომენტის სიდიადის წამს, ვალებულია დაადოს თავის თავს ხარკი, და მეც, საადხოთ ვალვიარებ ვალდებული ვარ ეოველ ოვიურათ ვაძლიო ჩვენ საერთო ხაზინას ასი მანეთი.

შენი განუყრელი მეგობარი ოვ. თუმანიანი.



ოვანეს თუმანიანი
სომეხთა სახელგანთქმული მგოსანი



ჭიანური

ეს ისტორიული და მომჯადებელ სმენი სიტყვა, ისევ კვერდელებული ადმოსავლეთის ერთა შორის, რომ ჯერ არ გიოცრი. უწყებს არ ვკვლევ: მისი წარმოშობის, შემოდების ან რომელიმე ერის სიკეთრების შესახებ...

ძველადგანვა შედუდებული ერთმანეთში, ჩვენი ენებიც; მაინც ჯერ ბევრია მუსიკის შესახებაც დაუსკვნელი სიტყვები: მედნი, ბარბითი, ჩანგი, ადდაგუნი ანუ არკანუნი (ორდანო), სურნა (ზურნა) ბუკი და ნადარების სახელებს, ასორეულ, სპარსულ, არაბულ, ოურქულ, ხომხურ და სხვა ადმოსავლეთულ ერების ისტორიულ წიგნებშიცა ვკითხულობთ... აგრეთვე ჭიანურის შესახებაც ვკვლევ შენ ჩემობა (თუმც სხვა და სხვა სახელების უწოდებთ), მაგრამ ზოგიერთ ხელოვნებისაშვ ამისაც მხოლოდ საერთოდ ორიენტალის სახელი ეარგუნეთ...

ჭიანური ნამდვილი არაბთა სასულიერო საკრავია, ურომლისოც მეზეთში ნამაზს არ ადგენენ ხოდმე... იგია მოწამე არაბთა სარწმუნოების და მახვალის ერთმანეთში გადასვლითვა, შებოლვა, შეკავშირებისა... თუკი არაბთა ისტორიაც ხო ორ საკანზეა დამარგებული: ომინობის დროს ცალ სელში უურანი, მეორეში მახვილით შიმაჩოსდენ მტ.? ირწმეთ ერთის შეორე, სულელი ომიანობის ან ომი სულელისათვისო... ნამაზის დროს, როდესაც ოქრო და სხვა ძვირფასს ნიგოეულის ზედ შენახვის ნება არა აქვს; საოშარი იარაღი კი არ უნდა ჩამოახსნას... აქაც განუურეფლათ და დარაჯათ გზეთვეთ მახვალს სარწმუნოებასთან... ჭიანური, არაბთა ერთგანუდი სიმოძღვრო სიკრავი და მიხი დასაბამი ეკუთვნის ისლამის წარმოშობას, რომელიანაც კვერდელდა ადმოსავლეთში...

საქართველოში ჭიანურის შემოდება, უნდა მიეწეროს: არაბთა ჩვენში სტუმრობის ხანას, რის შემდეგაც შედუდდნენ ერთმანეთში არაბთა და ქართველთა ხელოვნების სტილი... დიდი შოთას ქნარიც ხო ამავე ტონზე მომართული... თუმცა ერთ დროს განდეგნილი იქმნა ჩვენში, ადმოსავლეთის ხელოვნება, მაგრამ ეგი დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს და ერთხელ და სამუდამოთ მიეგხდეთ, რომ საქართველო ეკუთვნის ადმოსავლეთს და თუ დდემდის ჩვენ გვისარგებლია, ჩვენი მეზობელ ერების ხელოვნებით, მაშ ავაუფაოთ იგი და ვსდა ჩვენ ვასარგებლოთ ისინი, ჩვენ მაერ ადორძინებულ ადმოსავლეთის ხელოვნებით...

ალ. ოგანეზაშვილი

ალექსანდრე (ბაბია:) იასონისძე აბესაძე.

ქუთაისის საანწაურო გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე, მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დ. ჩხარში. 10 ნოემბერს. იგი იყო იმერეთის ნიჭით და ენერგიით დაჯილდოებული ყმაწვილი: მისი გონება და ძალღონე ყოველოვის მიმართული იყო ხალხის სასიკეთო საქმეზე; მან იკისრა დ. ჩხარში დაეარსებინა მუდმივი თეატრი და ამისთვის გასულ ზაფხულში დაარსა ჩხარში სათეატრო სახლის ამშენებელი კომიტეტი, ანრეთვე მისი თაოსნობით როგორც ჩხარში, ისე მახლობელ სოფლებში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, სადაც ვითარცა გამოცდილი და მოხდენილი სცენის მოყვარე, თვითონ მონაწილეობდა. ამ რიგად სამი თვის განმავლობაში შეკრებილი იქმნა თეატრის ფონდის სასარგებლოთ ათას მანეთამდის და ულმობელ სიკვდილს რომ დაეცლია ბაბიასთვის, ახლო მომავალში დ. ჩხარს ექნებოდა საკუთარი სათეატრო სახლი. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი სპეტაკო პირდვნებავ ბაბიავ.

ვ. ფუდარია

ქართული ლაბორატორია

როგორც მკითხველებს მოგახსენებთ შალვა დადიანია და ს. ილორმონ ახვლედიანის ინიციატივით თეატრის ასაგებად, მსახიობთა კავშირის თანხის გასაძლიერებლად და ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ მთავრობის ნებართვით მიმდინარე 1918 წ. გაიმართება დიდი მომგებიანი ლატარია სულ 5 მილიონი მანეთისა, საიდანაც ნახევარი მილიონი გაიცემა მოგებაში და დანარჩენ ხარჯს გარდა გაიყოფა ორად ნახევარი თეატრს და ნახევარი უნივერსიტეტს. თითო ბილეთი ეღირება 25 მ. მაგრამ ბილეთის ნაწილობრივ ყიდვაც შეიძლება, ამ გვარად მეხუთე ნაწილი თითო ბილეთისა ეღირება ხუთი მანეთი, რაც, რასაკვირველია, ჩვენს დროში ყველასათვის ხელ-მისაწვდომათ უნდა ჩაითვალოს. უდიდესი მოგება ამ ლატარიისა იქნება ასი ათასი მანეთი და სულ უმცირესი ასი მანეთი,-სულ იქნება ორასი ათასი მანეთი და ამათ შორის ორი ათასზე მეტი უსათუოდ მოიგებს.

ამ ლატარიის მოსაწყობად უკვე შესდგა განსაკუთრებული საბჭო და გამგეობა სამივე დაწესებულება, რომელთა სახელზედაც ნებართვაა აღებული. ამ გვარად საბჭოში არიან: კ. აეხაზი, ი. ბარათაშვილი, ნ. ერის თავი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, და ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი ფინანსის კომისარი კ. მესხი.

გამგეობაში არჩეულნი არიან: თავჯდომარეთ ი. ილორთქიფანიძე, წევრებათ შალვა დადიანი, პ. ქავთარაძე, ს. ახვლედიანი. მდივნათ მიწვეული ილ. ტყეონია.

შემუშავებულია უკვე ხარჯთ-აღრიცხვა 130-დან 50 ათას მანეთამდე, რაიც უკვე დამტკიცებულია სამივე დაწესებულებისაგან როგორც მკითხველები მიხვდებიან, ხუთ მილიონიან საქმის მოწყობისათვის მეტად მცირე ხარჯათ უნდა ჩაითვალოს.

ბილეთები ამ ჟამად უკვე იბეჭდება და თავის დროზე ცალკე განცხადებით უკვე ეცნობება საზოგადოებას თელი პირობები ლატარიისა.

ხელოვნების სექცია

საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან უკვე დაარსებულ ხელოვნების სექცია, რომელიც ამიერიდგან იქნება სამთავრობოში მფარველი და ხელმძღვანელ ხელოვნების ყველა დარგის საქმისა. ხელოვნების სექციაში წევრებათ იმყოფებიან: ბალანჩივაძე მელიტონ, გაბაშვილი გიორგაძე სერგი, გობეჩია ვლად. დადიანი შალვა, იმედაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სიმონ, მაყაშვილი კოტე, ნიკოლაძე იაკობ, ფალიაშვილი ზაქარია, ქიქოძე ფვორონტი, შაფარდნაძე დიმიტ, შენგელია-ქიაჩელი ლეო.

სექციის თავჯდომარეთ, როგორც ჩვენს ორგანოშიც იყო მოხსენებული, იმყოფება ელ. გობეჩია, თავჯდომარის ამხანაგად არჩეულია შალვა დადიანი და მდივნათ ლეო შენგელია-ქიაჩელი.

სექციამ შეიმუშავა საკუთარი დებულებანი და წესდება და ეხლა ადგენს კანონ-პროექტებს ხელოვნების სხვა და სხვა დარგის შესახებ.

თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ქართველ მოხელე-მოსამსახურეთა ცხოვრებაში იანვრის შეიდი ღირს სახსოვარ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს დაიწყეს ეროვნულ-კულტურული მუშაობა საკუთარ მოწყობილ კოპწია სცენაზე. სცენა მოწყობილია ფოსტის მთავარ სადგურის ქვედა ნაწილში. წარმოდგენა-საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა. წარმოდგენის დაწყებამდე ფ. ტ. ქ. მოხელეთა კულტურულ კავშირის თავმჯდომარემ მათე იანქოშვილმა მცირე სიტყვით მოულოცა დამსწრეთ დღესასწაულები, დღევანდელი დღე და ქართველ მოხელეთა ეროვნულ-კულტურული შეკავშირება. შემდეგ ამავე კავშირის დავალებით თ. ნასიძემ წარმოსთქვა ფრიად შინაარსიანი სიტყვა თანამედროვე მდგომარეობაზე, რუსეთში მცხოვრებ არა რუსებზე, რევოლიუციის მოსწრაფებაზე, საქართველოს ყოფა-ცხოვრებაზე და ყოველი ქართველის მოვალეობაზე სამშობლოს წინაშე. სიტყვის დასასრულ მოუწოდა ყველამ შეკავშირებით ვიმუშაოთ ჩვენი ეროვნულ-კულტურ. დასაწინაურებლათოთ. მოხდენილათ წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი კომ. ვ. ბალანჩივაძისა უბედური დღე, რომელშიაც მონაწილეობდენ: ქ-ნი: გუდიაშვილი, სვიმონიშვილი: ბ-ნი: სულთანიშვილ ქანთარია, ქრისტინოფი, ტანისამოსი, გრიმები,

მომზადება შესაფერი იყო. განსაკუთრებით სულთნიშვილი და ქანთარია ცოცხლად ასრულებდენ როლებს, დანარჩენთ თითქო გაბედულება აკლდათ, მაგრამ უეჭველი სასცენო ნიჭი ეტყობოდათ მომავალში უეჭველია საპატიო ადგილს დაიკავებენ ახალხო ხცენაზე. მესამე განყოფილებაში მათე იანქოშვილმა განასახიერა ცოლის ღალატით შეშლილი(რუსად ყოველ მის მიმოხვრასა და სიტყვას ნიჭი ეტყობოდა. დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ განყოფილებაში გაიმართა დივერტიმენტი. ლექსები წაიკითხეს: ლონდაძემ (ხალხური და საკუთარი), ლოხაშვილმა, ქ-მი მესხიძემ (ილიას ლექსები), სულთანიშვილმა (საკუთარი), მ. იანქოშვილმა (აკაკის ქრისტე აღსდგა), თ. ნასიძემ — ამაყი სული! საკუთარი მინიატურა თარზე, მეთარემ მშვენივრათ დაამღერა: მთელი ერის მარჩენელი გლეხკაცია, მიწის მუშა და რამ დაგაშორა შეოხვრო ღარიბების ბედის წყალო! ერთმა მოხვალმ მთელი დასტა ხელნაწერები გამოიტანა, ეტყობოდა საკუთარი ნაწერები იყო. მაგრამ რომ არ წაეკითხა ერჩიენა: დამსწრეთ ტაშმა გაახუმა! მათე იანქოშვილმა ბევრი აცინა და ახიამოვნა დამსწრენი დაკვრა-საუბრით. შემდეგ განყოფილებაში ჩიტო ქურთიშვილის ლოტბარობით შემდგარმა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა ფო-

სტის მოხელეთა გუნდმა მშვენივრად იმღერა, რის გამოც დამსწრეთ ტაშით დააჯილდოვეს, დაბოლოს მეგრელთ მცირე გუნდმა დაამღერა მეგრულად და ცეკვა გაიმართა. ყოველივე ამას სიამოვნებით აღვნიშნავთ და ვუსურვებთ ქართველ მოხელეთ უფრო მეტს ეროვნულ საზოგადოებრივ გათვითცნობიერებას და წინსვლას.

ი—ლი

თბილისის გუბერნიის ქართული სახალხო სკოლებისათვის საჭიროინი არიან მასწავლებლები. მსურველთ განცხადება საჭირო დოკუმენტებითურთ უნდა წარადგინონ სკოლების მმართველ კომისიაში (ნიკოლოზის ქუჩა № 45-47)

მგოსანი ზ. ქუჩიშვილი დღეს იანვრის 14, ქართულ კლუბში დილას მართავს. დილა დაიწყება შუადღის 12 საათ. შინაარსი: ლექცია, დეკლარაცია, მუსიკა

შეცდომის გასწორება. დ. ნახუცრიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი წევრია ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა და არა სოციალ ფედერალისტთა პარტიისა, როგორც გამოცხად. გვქონდა „თ და ც“ 45

სახალხო თეატრის არსებობის 25 წლის შესრულმბის სახსოვრად ამ თეატრის ერთმა დამფუძნებელთაგანმა ი. იმ-მა დასწერა ერთმოქ პიესა „გზა-უვალზე.“ პიესაში გადასურათებულია პირველი წარმოდგენის პირველი დღე, სცენის მოწყობა, რეპეტიცია და მისი მონაწილენი.

ქართულ თეატრის სააღმშენებლო კომისიას ეროვნულ საბჭომ ნება მისცა, გადასცეს 50000 მან. ლატარიის მოსაწყობათ.

ივანე როსტომაშვილი ჯავახეთის დედა ქალაქ ახალ ქალაქის ქართულ გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა.

მისაბაძი მაგალითი თამარა წერეთელი—ყიფიანისამ სოფელ ქალის (ზემო იმერეთი შორაპნის მაზრა) სამკითხველოს ერთი წლით გაუწერა ჩვენი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ მისმა მეუღლემაც ვარდენ ყიფიანმა ასი მანეთის წიგნები და ჟურნალები შესწირა

ახომ (ი. რ. ვაჩნაძემ) გადმოაკ. პოლონ. მწერლის პრჟეილსკის ოთხ მოქმედებიანი კომედია „დოყლაპია ქარაფშუტები.“ პიესა გადაეცა მსახიობთა კავშირს.

ვისაც სურს ჟურნალი შეუჩერებლივ ეგზავნებოდეს. დააჩქაროს ხვედრიფულის გამოგზავნა.

ქნარმა შემოიტანა 25 მ. ვერის სამკითხველოს სასარგებლოდ. შემომწირველთა სიას შემდეგ დავბეჭდავთ.

შემოწირულება

„თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ:

ივანე ზოსიმეს ძე ქორჩილავასგან	25—მან.
ელენე პორფირის ასული თვალავაძისაგან	20 მან.

შემომწირველთ გულითად მადლობას გუძღვნით. რედ.

მიიღება ხელის მოწერა
1918 წლისათვის

მუშარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის ერთად ერთ სათეატრო, სახელოვნო, სამხატვრო, ს მუსიკო, სამწიგნობრო საზოგადოებრივ შინაარსის პროგრესიულ - დემოკრატ ულ უპარტიო სურათებიან იუმორისტულ განყოფ. ჟურნალზე

წელიწადი მეექვსე გამოცემისა

1918 გამოვა იმავე პროგრ მით, როგორც გასულ ხუთი წლის განმავლობაში ცნობილ დ ასაუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

ჟურნალი ღირს: წლიურად 15 მან, ნახევარ წლით 9 მ. რომლის გარდახდა ნაწილნაწილდაც შეიძლება; ხელის მოწერის დროს 10 მ. აპრილის დამლევს 3 მ, დანარჩენიც მარიამობის გასულს.

ხელის მოწერა შეიძლება თბილისში რედაქციაში ლექს ბალის პირდაპირ, ძველ მეწიგნეთა რიგზე, **ხაზინის** თავში, ბაზრის ქუჩა სახლი არჯევანიძისა № 20) ფოსტით: Тифлис ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕВА“ Iосифу Имедашвили

შენიშვნა: ჟურნალის გაწერვის მსურველთ ვთხოვთ დროით დაიკვეთონ, რო მისამართების ბეჭდვა მოვას წროთ. ძველმა ხელის მომწერლებმა ძველი მისამართის ნომერი გვაცნობონ.

რედაქტორ გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

„ქართულ“ კლუბი

1 კვირის პროგრამმა

კვირა—საღამო წარმოდგენა.
ორშაბათი—ოპერა. მუსიკა
სამშაბათი—საოჯახო საღამო
ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
პარასკ.—ოპერა.
შაბ.—საოჯახო საღამო
კვირა რუსული—წარმოდგენა.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**